

საჯარო სამართლის  
იურიდიული პირი  
სოციალური მომსახურების  
სააგენტო



Legal Entity of Public Law

SOCIAL SERVICE  
AGENCY



KA030474323353318

ს/კ 202178927

საქართველო, თბილისი 0119; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 510 047; 510 048; 510 049

144 Ak.Tsereteli ave., 0159, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 510 047; 510 048; 510 049

№ 04/47309

30 / აგვისტო / 2018 წ.

მოქალაქე მანანა ნოდიას  
მის: თბილისი იოსებძის 53 ბ.58  
ტელ: 598320007  
ელექტრონული მისამართი mana.nodia@yahoo.com

ქალბატონო მანანა,

თქვენი 2018 წლის 24 აგვისტოს N 83877 წერილის პასუხად გაწვდით ინფორმაციას:

1) 2014-2018 წლებში მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის მობილური ჯგუფების ფარგლებში თბილისის, რუსთავის და ქუთაისის მასშტაბით კონტაქტი დამყარდა 1307 ბავშვთან.

თბილისის მასშტაბით ფუნქციონირებს:  
4 დღის ცენტრი და 4 სადღეღამისო თავშესაფარი

რუსთავში:  
1 დღის ცენტრი და 1 სადღეღამისო თავშესაფარი

ქუთაისში:  
1 დღის ცენტრი და 1 სადღეღამისო თავშესაფარი

2. "მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის" სამიზნე ჯგუფია 18 წლამდე ასაკის მიუსაფარი ბავშვი, რომლებიც იდენტიფიცირებული არიან ასეთად შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სოციალური მუშაკის მიერ, კანონმდებლობით დადგენილი წესის საფუძველზე.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მისაღებად მიმწოდებელთან პირის მოთავსებისა და გადაყვანის საკითხები რეგულირდება „სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსებისა და ამ დაწესებულებიდან მისი გაყვანის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების შესაბამისად.

3. "სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის" სახელმწიფო პროგრამის „მცირე საოჯახო ტიპის სახლების“ ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფებია ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებაში მცხოვრები ან ჩასარიცხი 6-დან 18 წლამდე ასაკის მზრუნველობამოკლებული ბავშვები, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვები, რომელთა ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება, შვილად აყვანა ან მინდობით აღზრდაში განთავსება ვერ ხერხდება. ასევე ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებაში მცხოვრები 18 წლის ასაკს გადაცილებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეები.

ა(ა)იპ ასოციაცია "საქართველოს ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი" არის "სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის" სახელმწიფო პროგრამის მცირე საოჯახო ტიპის სახლების მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაცია.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მისაღებად მიმწოდებელთან პირის მოთავსებისა და გაყვანის საკითხები რეგულირდება „სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსებისა და ამ დაწესებულებიდან მისი გაყვანის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის N52/ნ ბრძანების შესაბამისად.


4. "სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის" სახელმწიფო პროგრამა არ ითვალისწინებს სახელმწიფო მზრუნველობიდან გასული სრულწლოვანების მომსახურებებს. ა(ა)იპ ასოციაცია "საქართველოს ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი" და აიპ საქველმოქმედო ფონდი „საქართველოს კარიტასი“ ახორციელებენ პროექტს, რომლის ფარგლებშიც ფუნქციონირებს ახალგაზრდული სახლები, მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასული სრულწლოვანებისთვის. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო მზრუნველობაში განთავსებული აღსაზრდელების დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადებისა და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით, სააგენტოს სოციალური მუშაკის, ფსიქოლოგისა და აღმზრდელების/დედობილ/მამობილების მიერ ერთობლივად ხდება ბავშვის მიდრეკილებებისა და შესაძლებლობების გამოკვეთა, პროფესიული და ყოფითი უნარების განვითარების ხელშეწყობა და მისი ინტერესებისა და სურვილის გათვალისწინებით, პროფესიულ თუ უმაღლეს სასწავლებელში სწავლების ხელშეწყობა. ინდივიდუალური განვითარების გეგმის შესაბამისად, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ბავშვების თვითმოვლის და ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების განვითარებას, თავისუფალი დროის სწორი ორგანიზების უზრუნველყოფას, არჩევანის გაკეთების და გადაწყვეტილების მიღების უნარ-ჩვევების განვითარებას, რაც ხელს უწყობს ბენეფიციარების სრულყოფილ პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესს, ზრდის მათი დამოუკიდებლობის ხარისხს, რაც თავის მხრივ, მომავალში ხელს შეუწყობს თითოეული მათგანის ჯანსაღ სოციალურ ფუნქციონირებას.

სახელმწიფო ზრუნვაში განთავსებული ბენეფიციარების რაოდენობა :

1. მინდობითი აღზრდა - 1483 (2018 წლის აგვისტო);
2. მცირე საოჯახო ტიპის სახლები - 325 (2018 წლის ივლისი);
3. მიუსაფარ ბავშვთა დღის ცენტრისა და სადღეღამისო თავშესაფრით 2018 წლის ივლისის მდგომარეობით ისარგებლა/სარგებლობს - 243 ბენეფიციარმა;

პატივისცემით,

მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/  
შტამპდასმულია  
ელექტრონულად 

მარი წერეთელი